წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. შაბათი, 8 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., სხვა ადგილებიდან ... ზულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 455 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 455

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზომოთ დამწუხრებული თეკლე გრიგოლის ასული, დავით და ვლადიმერ კოსტანტინეს ძენი ჩარკვიანები, სოფიო კოსტანტინეს ასული და ნიკოლოზ პიმენის ძე გაბაშვილები აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ დღეს, შაბათს, 8 ოქტომბერს გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი კოლეჟსკი სოვეტნიკის

## კონსტანტინე დავითის ძე ჩარკვიანის

სულის მოსახსენებლათ ქუთაისის საკათედრო ტაძარში და სოფელ ქვიტირის მთავარანგელოზის ეკლესიაში. წირვა და პავაშვიდი ორივეგან დაიწყება 11 სათზე.

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან 6 ოქტომბრიდან

**რა თავდავიწყებით, რა რიგ უზომოდ სურდა მას**

დრამა 4 ნაწილად **ბედნიერება** დრამა 4 ნაწილად

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

**პირველი უსიამოვნება** სასუმარო.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**თავისუფლების ქალიშვილი**

საუკეთესო ფრანგ მსახიობთა მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 6 ოქტომბრიდან, განსაკუთრებული პროგრამა:

### სიცოცხლე-სიცოცხლისათვის

(თითო კურცხალ ცრემლისთვის თითო ცვარი სისხლი). კინო-ილიუსტრაცია 6 ნაწილად ჟორჟ-ონეს რომანიდან. ეს სურათი მოსკოვში და პეტროგრადში ზედიზედ 18 დღე მიდიოდა.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**ნეაპოლიტანელ ქალის ჯავრის ყრა.**

მხატვრული დრამა 4 ნაწილად ცნობილ იტალიელ ლამაზ ქალის ფრანჩესკა ბერტონის მონაწილეობით.

---

## გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი ი. ჩარექიშვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

### მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

---

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## სახალხო წარმოდგენა.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 7.

შაბათს, 8 ოქტომბერს 1916 წ.

**წარმოდგენილი იქნება**

# და-ძმა

ისტ. დრამა 5 მ. ვ. გუნიასი.

მონაწილენი: ქ-ნი მდივანი მ., ბეჟანიშვილი ს., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

## კავკასიის სამთამადნო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **მისი უდიდებულესობის** ნაცვლის და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით თუთხმეტს (15) ოქტომბერს ქუთაისში დანიშნულია შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა მე-18-ტე საგანგებო კრება კავკასიის 1-ლი სამთამადნო ოლქის ინჟინრის სტატსკი სოვეტნიკის აბრამ გრიგოლის ძის ცეიტლინის თავმჯდომარეობით, შემდეგი საკითხების განსახილველათ:—

1—კრების მდივნის არჩევა,

2—შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შავი ქვის მრეწველთა კრებას მიეცეს უფლება, როგორც გამონაკლისი შავი ქვის მრეწველთა კრების წესდებიდან, შეიძინოს გელზენკირხენის საზოგადოების და კავკასიის სამადნო ამხანაგობის წარმოება, და ამ მიზნით აიღოს საჭირო სესხი.

3—რკინის გზით გატანილ შავ ქვაზე საფუთო გადასახადის ნახევარი კაპეიკით გადიდება კრების საბჭოს ვალების გასასტუმრებლათ.

---

## განცხადება.

**1 ოქტომბრიდან — გაიხსნა —** ჭრა-კერვის კურსები **კატო ალიხანაშვილისა.**

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.

---

ხვალ კვირას 9 ოქტომბერს გაიხსნება

**ქალთა საზოგადოების კომიტეტის საჩაიე**

## „ძმა-ძმისთვის, ამ დღისთვის“

იმედია პატივცემული საზოგადოება მას მოეპყრობა ჩვეული სიმპატიით

---



Симъ довожу до свѣдѣнія г.г. обывателей гор. Кутаиса,

Что прибылъ я, на короткое время для

**НАСТРОЙКИ И ПОЧИНКИ РОЯЛЕЙ-ПІАНИНО**

*Гост. „Франція“.*

*Съ почт. фортепіан.* Техникъ Н. А. К[illegible]

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 6 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან დ. კისლინის ჩრდილოეთით გერმანელებმა მოშხამულ გაზებისა და არტილერიის სროლის შემწეობით იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუვაქციეთ. მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. დ. სვინიუხოს აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. კუროპატნიკის ჩრდილოეთით დავატყვევეთ 35 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ ერთი ყუმბარის მტყორცნელი ნოტუტორის (ბრეანას სამხრეთითაა) ჩრდილოეთით ჩვენმა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის საფრენი, რომელიც დაიწვა და მფრინავი კი დავატყვევეთ დორნოვატრიასთან მტრის დაყენებული ძლიერი იერიში მოვიგერიეთ. კარპატებში დიდი თოვლი და ქარიშხალია.

**კავკასიის ასპარეზი.**

კალკიტიდან 20 ვერსით ჩრდილო-დასავლეთით ტალმესთან პლასტუნებმა ოსმალეთის სადარაჯოს მოულოდნელად თავს დაესხნენ და თითქმის ერთიან გაანადგურეს და ტყვეთ წამოიყვანეს, მუშიდან ბ მარინკადან 10 ვერსით სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ სადარაჯოს შედარებით მტრის დიდი ძალები შემოერტყენ გარს მოდარაჯე რაზმი მცირე დანაკლით უკანვე დაბრუნდა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 6 ოქტომბერი. ბრიტანიის ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. გუშინდელ ჩვენი იერიშების წყალობით გენეკურის ჩრდილოეთით და ველენკურის ბორცვის ბრძოლის ხაზი გავაფართოეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 კაცი, გუშინ ჩვენმა მფრინავებმა ბევრჯერ დაზვერეს მტერი; სამჯერ კი მის მიწა-წყალზე ყუმბარები ჩამოყარეს და სხვათა შორის რკინის გზაზე, როდესაც მატარებელი მოდიოდა. ჰაერში რამდენიმე ბრძოლა მოხდა. მტრის 4 ძლიერი დაზიანებული საფრენი ტბაში ჩავარდა. 4 ჩვენი საფრენი აღარ დაბრუნებულა.

**ლონდონი.** 5 ოქტომბერი. დილის ოფიციალი საფრანგეთიდან. მთელი ღამის განმავლობაში დიდი წვიმა იყო. მიუხედავათ ამისა ალბერბომისა და ლებეს გზების შუა ჩვენ წინ წავიწიეთ და ტყვები წამოვიყვანეთ.

**დასავლეთის ასპარეზი**

**პარიზი.** 5 ოქტომბერი. შუადღის ოფიციალური. საღამოთი სომმას ჩრდილოეთით საი საისელის ჩრდილო-აღმოსავლეთით მომართული მტრის იერიშები მოვიგერიეთ; ფრანგებმა წინ წაიწიეს და გერმანელები დააზარალეს. სომმას სამხრეთით დილის 5 საათზე ბერრი სანტერსის აღმოსავლეთით ფრანგთა სანგრებზე ძლიერი იერიშები მოიტანეს და ზოგიერთ მათი წინ წაწეული პუნქტები დაიპყრეს, მაგრამ ფრანგებს დამხმარე ძალები მალე მოუვიდათ და გერმანელები მოიგერიეს, ხოლო უკანასკნელები ზოგი დახოცეს ზოგი კი დაატყვევეს. დანარჩენ გერმანელთა მოიერიშე ჯარებს ძლიერი სროლით შევხვდით, რის გამოც არეულ-დარეულმა გერმანელებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე მოკლულები დასტოვეს. ვპრენიერის მიდამოებში ფრანგთა მზვერავები გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ და ტყვეები წამოიყვანეს რეიმსის სამხრეთ აღმოსავლეთით ფრანგები მარჯვედ თავს დაესხნენ გერმანელებს.

**პარიზი.** 5 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. სომმას ჩრდილოეთით ჩვენ ავიღეთ სოფ. საინსაელი და მტრის ჯარი კი მთიდან გადავრეკეთ.

სომმას სამხრეთით მესხნეტ-ბიაზის სამხრეთით გერმანელთა თხრილების მთელი პირველი რიგი ერთის დაკვრით ავიღეთ. ამ ბრძოლების დროს დავატყვევეთ 250 კაცი მათში 5 ოფიცერია. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. მიუხედავათ ბურუსისა ჩვენი მფრინავები მხნედ მოქმედებდნენ. 4 ოქტომბრის განმავლობაში სომმას ასპარეზზე მტრის 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, რომელთაგან ერთი გედენკურლეგოსთან ჩამოვარდა, მეორე შევანთან ხოლო მესამე, რომელიც პორუჩიკმა გერტომ დააზიანა, რივილიისა და ლეტრონსლუს შუა ჩამოვარდა. ეს მეცხრე საფრე-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი** კისელინის ჩრდილოეთით გერმანელებმა არტილერიის დახმარებით რუსებზე ძლიერი იერიში მიიტანეს. სვინიუხისთან და კუროპატნიკთან მკაცრი ბრძოლა.

**კავკასიის ასპარეზი.** ალაგ-ალაგ მოწინავე რაზმებს შეტაკება უხდება.

**დასავლეთის ასპარეზი.** მოკავშირეებმა გერმანელთა 8 საფრენი გაანადგურეს, თვით კი 4 დაკარგეს. სომმაზე წვრილი ბრძოლებია. დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა ხდება.

**იტალიის ასპარეზი.** პაზუშიზე იტალიელებმა ერთი მკვიდრი სიმაგრე აიღეს. სხვაგან ზარბაზნების სროლაა.

**რუმინიის ასპარეზი.** უზოლის ველზე საზღვარის ახლოს დიდი ბრძოლა მოხდა რუმინელები ავსტრიელთა იერიშებს იგერიებენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** მდ. ვაროდარის აღმოსავლეთით ინგლისელებმა ოდნავ წინ წაიწიეს. აგრეთვე წინ წაიწიეს დოირანზე. მოწინავე რაზმების ბრძოლა ხდება.

ნი აქვს გერტოს დაზიანებული. ერთ ჩვენ მფრინავს 3 „ფოკკერი" შეებრძოლა რომელთაგან ერთი ჩამოაგდო და 2 კი განდევნა.

**ჰავრი.** 5 ოქტომბერი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. მთელ ბრძოლის პირზე საარტილერიო ბრძოლაა. ბუსინგესთან ჩვენი სასანგრო ზარბაზნები მარჯვედ მოქმედებდნენ.

**რუმინიის ასპარეზი.**

**ბუქარესტი.** 5 ოქტომბერი. ჩრდილოეთით ტოლგესე-ბივაზას დასავლეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა მტრის იერიშები მოვიგერიეთ, ჩვენ დავატყვევეთ 90 კაცი. კიდევ დავატყვევეთ ბოლოვანისთან 100 ჯარის კაცი და ერთი აფიცერი. უზულის ველზე, საზღვარს იქით საშინელი ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც მტერი მოვიგერიეთ. ოიტუას ველზე ბრძოლა გრძელდება; მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ, ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 აფიცერი და 100 ჯარის კაცი. ბრანჩესთან მცირე შეტაკება მოხდა, მტერი საზღვარს გადავაცილეთ. ბუზუკუს ველზე ჩვენმა არტილერიამ მტრის ზარბაზანი გაანადგურა და პირველი წყების ჯარს ერთი კილომეტრით უკან დაახევინა. პრედელთან ზარბაზნების ძლიერი სროლაა. მატეაიცესთან მედგარი ბრძოლაა ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიის-მფრქვეველი და რაოდენიმე რიცხვი ტყვეებისა. ალიუტას ველზე იერიში მოვიგერიეთ. რობულის მთაზე ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის-მფრქვეველი და ტყვეები. ორშოვას ბრძოლის პირს მტერმა მძლავრად დაუშინა. ჩვენმა არტილერიამ მტრის საზღვაო საფრენი აიძულა დაბლა დაშვებულიყო ზედ ბრძოლის ხაზზე, საფრენი აფეთქდა და დაიწვა.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 6 ოქტომბერი. იტალიის ოფიციალური ცნობა. 5 ოქტომბერს მონტეპაზუბიოზე, სძლია რა მტრის უკანასკნელი წინააღმდეგობა, გააქცია იგი და კოსმანიონთან სანგრები დაატოვებინა.

პაზუბის ქედის მწვერვალზე მკვიდრი საარტილერიო მომზადების შემდეგ იტალიელებმა აიღეს მიუვალი რედუტი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 72 ტყვე და იარაღი. მტრის მოიერიშე ჯარები ჩვენს სანგრებთან ახლო მოვუშვით, შემდეგ ყოველ მხრიდან სროლა ავუტეხეთ და თითქმის ერთიანად გავანადგურეთ. ღამე ავსტრიელებმა იერიში მოიტანეს, რომლებიც მოვიგერიეთ და მტერი დიდად დავაზარალეთ. მოწინააღმდეგის ზარბაზნები აზიაგოსა და გორიცას დრო გამოშვებით ყუმბარებს უშენდენ.

დანარჩენ ასპარეზზე ზარბაზნების სროლაა.

**მაკედონიის ასპარეზი.**

ვარდარის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრები 400 მეტრით მტრის ბანაკის შიგნით. სერბიელების ჯარი განაგრძობდენ წინ წაწევას დობროპოლის ჩრდილო-დასავლეთით სტრუმის ქვევით მოვიდნენ ოსმალთა ნაწილები.

სტრუმის ფრონტზე ჩვენი მძიმე არტილერია მარჯვედ ესროდა სოფ. ბარაკლიადუზმთან, რომლის ახლოს შემჩნეული იყო მტრის მოძრაობა. დოირანის ფრონტზე გრძელდება ჩვენი პატრულების მოქმედება, რომელთა მიერ გაფანტულია მტრის მუშები.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ეს ორი კვირა იქნება სამხრეთ ალბანეთში და ეპირში იტალიელთა საგრძნობი ძალები მხნედ მოქმედებენ. იტალიელები წინ მიიწევენ და უკვე აუღიათ პრემეტი და ლასკოვიკი. მოკავშირეებს მიზნად ჰქონიათ: იმ ალაგას, სადაც საბერძნეთის მიწაწყალი დაპყრობილ სერბიას ეკვრის აღმოსავლეთიდან სერბიელთა წინსვლის და ეპირიდან იტალიელთა შეტევის წყალობით საბერძნეთი ერთიანად მოსწყვიტონ გერმანია ბულგარეთის ჯარს.

— —

ერთი რუმინული გაზეთი სწერს: რასაც გერმანელებმა სხვა ასპარეზებზე დაჰკარგეს. იმის ანაზღაურება ტრანსილვანიაში სურთ; მრავალი ავსტრიელი ჯარი ჰყავთ აქ და ეხლა კიდევ მოყავთ ახლად ჯარში გაწვეული ოსმალებიო.

— —

როგორც ვუწყით ინგლისელებმა ბოლო ხანებში ომში მოიხმარეს ახლად გამოგონილი მებრძოლი ჯავშნიანი ავტომობილები. ეს ავტომობილები კიდევ გაუმჯობესებიათ. მათზე ლლოიდ ჯორჯის უთქვამს: ეხლა ჩვენი ავტომობილებისათვის არავითარი დაბრკოლებანი აღარ არსებობენო.

— —

გერმანელების ჰაეროპლანების და ცეპელინების ბუქარესტზე-თავდასხმის დროს ძალიან შეუშინებია ქალაქის მცხოვრებლები. საგრძნობი ზარალის გამო მცხოვრებლები უფრო ფრთხილად იქცევიან ეხლა და ჰაეროპლანების მოახლოვების პირველ ნიშანზევე სახლებში ლამპებს აქრობენ და დარაბებს ხურავენ.

— —

საფრანგეთის ჰავარის დეპეშათა სააგენტო აცხადებს ტყუილია ის ხმები, ვითომც იტალია საბერძნეთის ომში ჩარევის წინააღმდეგი იყოსო. იტალიის ინტერესები სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საბერძნეთის ინტერესებს და თუ რამე მათ შორის სადავო არის, მაზედაც ადვილად მორიგდებიანო.

— —

გერმანელთა მომხრე ბერძენ რეზერვისტების მოქმედება გრძელდება და თანდათან ძალებს იკრებენ. ამიტომ მოკავშირეებმა საბერძნეთს მოსთხოვეს, რომ ისინი დათხოვნილ იქნენ მოკლე ხანში.

— —

ოსმალეთის პარლამენტში უმეტესობის ხმით დაუდგენიათ კვლავ განამტკიცონ ოსმალეთ-გერმანიის კავშირი და უკანასკნელ შესაძლებლობამდის იბრძოლონ გერმანელებთან ერთად მოკავშირეების წინააღმდეგ.

— —

გერმანიის მთავრობამ შური იძია და გამოჩენილი დეპუტატი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოც. დემ. ლიბკნეხტი ზავის შესახებ მოწოდებისათვის და ომის წინააღმდეგ აგიტაციისათვის სამართალში მისცა. მას მიუსაჯეს ორი წლის ციხე. ეს არ აკმარეს და მას ხელმეორეთ უპირებდენ სამართალში მიცემას, მაგრამ რეიხსტაგის კომისიას უარი უთქვამს მთავრობისათვის ლიბკნეხტის წინააღმდეგ, მეორეჯერ პროცესის აღძვრის შესახებ.

— —

გაზეთების ცნობით ვლადიმერვოლინის ფრონტზე გერმანელები დიდ ზარბაზნებს ხმარობენ. ყუმბარებით, მათ ისე გადაუთხრიათ ადგილები რომ შიგ დიდ დიდი ტბები ჩამდგარა. ჩვენი არტილერიაც მედგრათ უშენს მტერს თურმე. ამინდები იქ მეტად ცუდი ყოფილა, ხოლო ამ ბოლო დროს გამოუდარებია.

— —

რუმინელი დეპუტატი მიოლე ამბობს რომ ჩვენი ჯარის უკან დახევა სიბუდან და ფაგაროშიდან არ აიხსენება ჩვენი დამარცხებით ან სისუსტით, არამედ რუმინიის არმია იხევს უკან. მან შეიძლება სულ დასცალოს მოსაზღვრე ადგილები ყოველი მხრიდან დაიხიოს და სამშობლოს შუაგულისკენ [illegible] აქედან უფრო თავზარს [illegible] აქ ჩვენ და მოკავშირეები [illegible] ჯარს ვუყურით თავსო.

— —

საბერძნეთის მეფე კონსტანტინემ გამოურკვეველ დრომდე გადასდვა ახალი პალატის მოწვევა. მოკავშირე სახელმწიფოებმა საბერძნეთს აუკრძალეს მისივე რკინის გზებით თვისი ჯარების გადაყვან გადმოყვანა.

— —

ცნობილი ემიგრანტი და გამოჩენილი ანარქისტი პეტრე კრაპოტკინი იმეორებს იმავე აზრს, რომელიც გამოსთქვა ომის დაწყებისთანავე და ამბობს რომ გერმანიის გამარჯვება იქნებოდა ცივილზაციის შეფერხება და საწინდარი მომავალი ომებისა და ამიტომ საჭიროა გერმანიის დამარცხება. მას არ უნდა მიეცეს საშვალება რომ ნემეცთა ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე განავრცოს თავისი გავლენაო.

## სამხედრო მიმოხილვა

რუმინიის ოფიციალური ცნობა კვლავ გვაცნობებს ავსტრიელთა ძლიერ იერიშებს. იერიშები ისეთი გამეტებით სწარმოებს, რომ ავსტრიელები არაფერს არ ზოგავენ რუმინელთა წინააღმდეგობის დასაძლევად. ამის გამო ფრიად სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ზედ ტრანსილვანიის საზღვარზე. თუ როგორის გამეტებით სწარმოებს ეს ბრძოლები იქიდან სჩანს, რომ პოზიციები ხელიდან ხელში გადადის, ჯარი უკანასკნელ ღონის შერჩენამდე იბრძვის; როცა ძალა გამოელევა უკან იხევს და მოუვა თუ არა დახმარება კვლავ უტევს მოწინააღმდეგეს და ართმევს პოზიციას.

აქტიურად მოქმედი ავსტრიელთა ჯარია, რუმინელები კი იგერიებენ მხოლოდ იერიშებს და ნელნელა უკან იხევენ კიდევაც.

რუმინიის ჯარის უკან დახევა ავსტრიელთა ჯარის ძალდატანებით ხდება.

თუმცა რუმინელი გაზეთები გვარწმუნებდენ, რომ რუმინიის ჯარი ვითომ სტრატეგიულ მოსაზრებით იხევდეს უკან, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ საზღვარზე უფრო ხელსაყრელი სტრატეგიული პირობებია, ვიდრე რუმინიის შუაგულში: საზღვარზე საკმაოდ მაღალი მთებია და რამდენადაც სამხრეთი ნაწილია, იმდენი უფრო დაბალი ადგილია. და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმ ალაგას ავსტრიელების წინ წაწევა სახიფათო იქნება რუმინელებისათვის თვით რუმინიის მიწა-წყლის სივიწროვის გამო, დავრწმუნდებით რომ სტრატეგიული მოსაზრება ვერ გაამართლებს რუმინელების უკან დახევას

რუმინელებისათვის ამ ჟამად საჭიროა მეტი ჯარის და ტყვია-წამლის მოხმარება და მეტი მხნეობის გამოჩენა, რომ რაც შეიძლება მალე შეაჩერონ ავსტრიელთა წინ-სვლა.

შვერედი.

# ახალი ამბავი.

როგორც ვტყობილობთ, ზოგიერთ ადგილებში თურმე ჩვენ გაზეთს შაურის ნაცვლად შვიდ კაპიკათ ჰყიდიან. ვაცხადებთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ჩვენი გაზეთი კვლავ შაური ღირს. როდესაც გაზეთის ფასის მომატებას გადავსწყვეტთ, ამას ჩვენ წინ და წინ ვაცნობით მკითხველთ.

✦ ქალაქის თავი ილ. მ. ჩიქოვანი, რომელიც ქობულეთში დასასვენებლად იყო წასული, ქუთაისს დაბრუნდა და შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. საბჭომ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა, რუსეთში არსებულ შავ-ჭირთან მებრძოლ საზოგადოების წინაშე რომ ერთ

## † ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი.

13 აგვისტოს პარიზში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქუთაისის გუბერნატორთან ნამყოფი ვლად. ალექს. სტაროსელსკი. ეს პიროვნება იმდენათ საყურადღებოა, ის იმდენათ მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი ხალხის ჭირვარამთან და განსაკუთრებით კი სასოფლო მეურნეობის აღორძინების საკითხან, რომ მაზედ წერა და აღნიშვნა ყველა იმის, რაშიაც მან განსაკუთრებული კვალი დატოვა, საჭიროთ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს. ეს მით უფრო საყურადღებოა მეურნე გლეხკაცობისთვის, რადგანაც ბევრმა დღეს არც კი იცის თუ ვინ იყო სტაროსელსკი, რა სამსახური მიუძღვის მას ხალხისადმი, რაში გამოიხატება მისი მოღვაწეობა, როცა ის პირველ მერცხლათ მოევლინა ჩვენს სამეურნეო ქვეყანას, მარა უპატრონოს, გაველანებულს, უცოდინარს და უსწავლელს. ჩვენი მოვალეობაა სისწორით აღვნიშნოთ და შევისწავლოთ ყოველი ეპოქა, ყოველი დრო დავაფასოთ მისი მოღვაწენი და გადავხედოთ თუ ვინ რა ღვაწლი დასდო ხალხის საკეთილდღეო საქმეს.

ერთ ასეთ საყურადღებო პიროვნებათ და ეპოქათ მიგვაჩნია განსვენებული სტაროსელსკი და მისი დრო. ჩვენ აქ უმთავრესათ გვაინტერესებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობა, მისი ჩამორჩენის და წინსვლის საკითხები და სტაროსილსკის ცხოვრებასაც იმდენათ შევეხებით, რამდენად ის ახლოს იდგა ამ საკითხთან, რამდენათ მან ღრმა კვალი დასტოვა ჩვენი ხალხის ეკონომიურ აღორძინების საქმეში. მართალია, სტაროსელსკის პიროვნება ამით სრულად წარმოდგენილი არ იქნება, რადგანაც ის ამავე დროს წარმოადგენდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეს და ყოველ მოვლენას უკავშირდება საერთო მდგომარეობას, მარა ჩვენი უმთავრესი მიზანია აღვნიშნოთ მისი ღვაწლი მეურნეობის საქმეში და ვფიქრობთ, რომ სწორეთ ამ დარგში იყო ის უფრო ძლიერი და აქ გამოიჩინა თავი მისმა დიდმა პრაქტიკულმა ნიჭმა და ხალხისადმი სიყვარულმა.

. . . . . . . . *)

როცა დასავლეთ საქართველოში 1889 წელში ვენახების განადგურება დაიწყო და ფილოქსერამ ხალხის მრავალი წლებით ნაშრომი გააჩანგა, ვ. სტაროსელსკი ყიზლიარიდან ქუთაისის გუბერნიაში გადმოიყვანეს, სადაც გულდასმით შეუდგა ვენახების ავადმყოფობის შესწავლას და მისი წამლის გამონახვას.

მაგრამ სანამ რაიმეს ვიტყოდეთ სტაროსელსკის ამ დარგში მოღვაწეობაზე, საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ფილოქსერის გარშემო შექმნილი ორი მიმდინარეობა. როგორც ვიცით ფილოქსერა პირველათ საფრანგეთში გაჩნდა; ის აღმოაჩინეს როჩელდის მამულში და რადგანაც საფრანგეთში და განსაკუთრებით კი შამპანში ხალხის უმთავრეს სარჩოს მევენახეობა შეადგენდა, სახელმწიფოს წინაშეც მეტად მწვავე კითხვა დაისვა. საფრანგეთი ხომ აკვანია მეცნიერების, იქ ყოველ ბოროტებას წამალს უძებნიან და ხალხს უბედურებას თავიდან აცდენენ.

ამით აიხსნება რომ მთელი საფრანგეთის ამ დარგის სპეციალისტები შეუდგენ გულდასმით ავადმყოფობის შესწავლას და როგორც ყოველთვის, ამ საქმის გარშემოც შეიქმნა სხვადასხვა მიმართულება. პირველი მიმდინარეობა, ან, როგორც უწოდებდენ „რადიკალისტები" ამტკიცებდენ, რომ ფილოქსერის მოსასპობად საჭიროა ქიმიურ ნაწარმოებთა ხმარება, განსაკუთრებული წამლების ნიადაგში შეშხაფუნება. ამ მიმდინარეობას კიდევ ეწოდებოდა „ინსექტისიდისტების" მიმდინარეობა. მეორე მიმართულება სრულიად უარყოფდა ვენახების ქიმიურ წამლებით ექიმობას და ამტკიცებდა, რომ ვენახის გადასარჩენათ საჭიროა ამერიკულ მწარე ვაზის შემოტანა, რომელსაც ფილოქსერა ვერას აკლებსო. ამ გვარათ შეიქმნა დიდი დავა „ინსექტისიდისტების" და ამერიკანისტების შორის. არც ერთი მიმდინარეობა არ ფიქრობდა დათმობას, მით უმეტეს როგორც ერთი მხრით, ისე მეორე მხრით იდგნენ საპატიო მეცნიერები, რომელთა ხმას საფრანგეთში დიდი გასავალი ქონდა. მარა ამით ისარგებლეს უფრო სპეკულიანტებმა, სამეცნიერო დავა თავის გასამდიდრებლათ გამოიყვანეს და საფრანგეთის ბურჟუაზიაც ორათ დაირაზმა. ერთნი აგებდენ ქარხნებს ქიმიურ წამლების დასამუშავებლათ, მეორენი აშენებდენ ამერიკულ ვაზს და ყოველი მათგანი კი საქვეყნოთ გაჰყვიროდენ, რომ მხოლოდ მათი საშვალებაა უებარი წამალი ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველათ. მოსყიდული პრესა და და მეცნიერებიც დიდათ ხელს უწყობდენ ასეთ მავნე სპეკულიაციას, რამაც ერთი მეურნეს სიტყვით საფრანგეთის მევენახეებს უფრო დიდი ზარალი მიაყენა, ვინემ თვით ფილოქსერამ.

რუსეთში, პირველ მიმართულებას, ინსექტისიდისტებს" მეტი მიმდევრები ყავდა. ადესის საფილოქსერო კომიტეტის წევრები პროფ. მელიქოვი და კოვალევსკი და პეტერბურგის ბიუროს მთელი შემადგენლობა „ინსექტისიდისტებისაგან" შესდგებოდა ბესარაბიაში, ყირიმში და ჩრდილოეთ კავკასიაში ფილოქსერას ებრძოდენ მხოლოდ ქიმიურ წამლებით, ხოლო მწარე ვაზის შემოტანა სახელმწიფოს საზღვრებში სასტიკათ იყო აკრძალული.

ასეთ მდგომარეობაში იყო ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა, როცა სტაროსელსკი დანიშნეს ქუთაისის გუბერნიაში ამავე სენის წინააღმდეგ საბრძოლველათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ სტაროსელსკის ბუნება, ნამდვილი ხალხური ბუნება იყო. მას შეეძლო დაახლოვება ფართო მასასთან, შესწავლა მისი მდგომარეობის, ჭირვარამის და სხვა. ამავე დროს კი თავის დარგში ის ზედმიწევნით მცოდნეთ ითვლებოდა და არც გასაკვირველია, რომ ქუთაისის გუბერნიაში ჩამოსვლისთანავე შეუდგა ვაზის სნეულობის გულდასმით შესწავლას. აშკარა იყო, რომ ვენახის ავათმყოფობა ფილოქსერის სახით ანადგურებდა ხალხის უმთავრეს სამეურნეო საგანს. 1890 წერში სტაროსელსკი მივიდა იმ დასკვნამდი, რომ ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა ქიმიურ წამლებით ქუთაისის გუბერნიაში შეუძლებელი იყო. ეს, მისი აზრით, ტეხნიკურათაც შეუძლებელი იყო, რადგანაც ქუთაისის გუბერნია მჭიდროთ არის დასახლებული ვენახებიც ძალიან ცოტა მანძილზეა ერთმანეთს დაშორებული, რაც ხელს უწყობს ფილოქსერის გაძლიერებას; გარდა ამისა თვით ნიადაგი ნაკლებ ითვისებდა ქიმიურ წამლობას, არ გაყავდა ფესვებისკენ ის და სხვა. სტაროსელსკიმ ვრცელი მოხსენება შეადგინა. ეს მოხსენება იმდენათ საყურადღებო გამოდგა, მან ისეთი ფაქტებით შესძლო დამტკიცება თავის შეხედულების, რომ მას განსაკუთრებით ნება დართეს შემოეტანა განსაზღვრული ნაწილი ამერიკული ვაზისა და საძირკველი ჩაეყარა საქარის სანერგესათვის. ამ ხანებიდან იწყება ბრძოლა ორ მიმართულებას შორის. როგორც ვთქვით რუსეთის ყველა სამეურნეო დაწესებულებებში ქიმიურ წამლობის მომხრენი იყვნენ გაბატონებული. იგი არ შეუშინდა იმას, რომ მათ შეეძლოთ ის 24 საათში გაეძევებიათ და კვლავ თავისი შეხედულება მოეხვიათ თავზე თავის მოხელეთათვის. სტროსელსკი სულით ხომ ჩინოვნიკი არ იყო, მას ახლოც არ სურდა მისვლა კანცელარიის მტვერთან, მისი მრწამსი, მოქმედება ხალხთან დაახლოვება, პრაქტიკულათ მუშაობა იყო და ამ იდეით გატაცებული თავდაწყებით ემსახურებოდა ნამდვილ მეცნიერებას და ხალხის საკეთილდღეო საქმეს.

აღმოჩნდა, რომ ქუთაისის გუბერნიის ჰაერი და ნიადაგი შესანიშნავათ ითვისებს ამერიკულ ვაზს. რაკი პირველმა ცდამ ნაყოფი გამოიღო, იგი სიხარულით გატაცებული შეუდგა საქმის გაფართოვებას, მარა რომ ხალხს არ მოწყვეტოდა და ყველა ეს თავიდანვე გავრცელებულიყო, ის ცდილობდა რაც შეიძლება მიეზიდა თავისკენ მეურნე-მევენახე გლეხკაცობა. მართალია ყველა ეს პირველად ძნელი იყო, ხილხი მას აღმაცრათ შესცქეროდა, მარა სტაროსელსკის სწამდა, რომ მოქმედება, შრომის ნაყოფი საუკეთესო თვალსაჩინო მაგალითად გადაიქ-

*) უადგილობის გამო ვსტოვებთ ბიოგრაფიულ ცნობებს. **რედ.**

სამშობლო

№ 455

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ბარბალე მაქსიმეს ასული და შვილები: ოლღა, ნიკოლოზ და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 9 ოქტომბერს მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გეგუთის ქუჩაზე, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი.

**მიხეილ სიმონის ძის ჭეიშვილის.**

სულის მოსახსენებლად.

დროულათ 20 000 მან. დახმარება აღმოუჩინოს ქუთაისის ქალაქის გამგეობას სხვადასხვა გადამდებ სენთან საბრძოლველად. საბჭოს აზრით, რადგანაც მოსალოდნელია, რომ ამ ფულის მიღება დაგვიანდეს და არსებული მდგომარეობა კი დაყოვნებას არ მოითხოვს, გამგეობას უფლება ეძლევა ეს ფული ისესხოს ადგილობრივ რომელიმე ბანკიდან, სანამ რუსეთიდან მიიღებდეს.

✦ კვირას 9 ოქტომბერს $3\frac{1}{2}$ საათზე ქუთაისში ხარაზოვის ბაღში, გაიმართება შეჯიბრება „ფუტბოლის“ თამაშში. შეჯიბრება მოხდება ორი ჯგუფის შორის: „ვეფხვი“ და „სპორტი“.

✦ დღეს, სალამოს რვა საათზე ქალაქის თეატრში, დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვალერიან გუნიას „და ძმა“.

✦ სასურსათო კომისიის ცნობით ქალაქ ქუთაისში პირველი ოქტომბრისათვის შემდეგი სურსათ სანოვაგე იყო: სიმინდი 27,749 ფუთი, ფქვილი პურის 17,703 ფ. „კრუპა“ 178 ფ. ბრინჯი 206 ფ., შაქარი 569., ქართოფილი 433 ფ. სამარხვო ზეთი 36 ფ. თევზი 3 ფ. მარილი 7,462 ფ. თივა 360 ფ. ღერღილი 183 ფ. შეშა 340 საჟენი ნახშირი 2,290 ფუთი, მაზუთი 700 ფ. ნავთი 2742 ფ. სანთელი 12 ფ. წუმწუმა (ასანთი) 7332 ათეული, საპონი 88 ფ. ქერი 145 ფუთი. საკლავი საქონელი 213 სული.

✦ 15 სექტემბრიდან 1—ლ ოქტომბრამდე ქუთაისში შემოუტანიათ შემდეგი საქონელი: ფქვილი 4544 ფუთი, დაფქული მარილი 3 ვაგონი, ნავთი 9 ქვაბი-ვაგონი, სიმინდი 48 ვაგ. ფხვნილი შაქარი 996 ფუთი და 10 გირ. მარილი 1 ვაგ. კომბოსტო 3 ვაგ. ღერღილ 4 ვაგონი საწერი ქაღალდი 718 ფ. სხვა და სხვა საქონელი 7404 ფუთი. შეშა 39 ვაგონი.

✦ ბათომ-ტრაპიზონის საფრონტო რაიონის რწმუნებულად ქალაქთა კავშირმა ა. ი. გოგოლაშვილი მიიწვია

✦ სოფელ ზემო ხვედურეთში (გორის მაზრა) ხოლერა გავრცელდა.

✦ ს. ქვალონში (ზუგ. მაზრა) ავაზაკებს მოუკლავთ ქვალონის საზოგადოების მამასახლისი.

✦ ყურძნის ფასი გუშინ ბაზარზე ყურძენი ბევრი შემოიტანეს გასაყიდად. ფუთი ფასობდა პირველი ხარისხის 4 მ. და 50 კ. მეორე ხარისხის 4 მან. მესამე 3 მ. და 50 კ.

✦ ხოლერა ქალაქის გადამდებ სენიანთა ბარაკში გუშინდელი ცნობით ხოლერიანი იყვნენ 6, მათ მიემატა მოწაფე ზაქარია წერეთელი (ლოსაბერიძეს შესახვევიდან) მოკვდა თავის ბინაზე ჩარკვიანის ბავშვი. ამ ჟამათ ბარაკში იმყოფებიან 7 ხოლერიანი.

✦ ქალაქის სანიტარებმა, სანიტარული წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინეს ვაჭრებს გიორგი პირაძეს და გაბრიელ გორგაძეს, ოქმი შეუდგინეს აგრეთვე ორპირის ქუჩაზე მცხოვრებთ მათე სარუხნას და ბიქტორ ჩიხლაძეს.

✦ ფოთის ქალაქის თავის მოადგილე ესაუბრა ინჟინერ ვინოგრადოვს პალიასტომის ტბის პირათ ნავთსადგურის შემოვლის შესახებ. 27 სექტემბერს მოადგილემ ამის შესახებ ვინოგრადოვისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც იტყობინება ინჟინერი, რომ მას ჰყავს ისეთი პირები რომლებიც თანახმა არიან დაიწყონ მუშაობა, მაგრამ თუ რა და რა პირობებში შეიძლება მუშაობა, ამის შესახებ სთხოვს აცნობოს ქალაქის თავის მოადგილემ

✦ ბათუმში „რკინის თეატრში“ შალიკაშვილის რეჟისორობით 27 სექტემბერს გაიხსნა სეზონი ივ. გომართელის პიესით დასდგეს, „ქოხში“.

✦ თფილისის, მეფის მოადგილის კანცელარიაში დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, იმ სახელმწიფო დაწესებულებათა მმართველებმა, რომელშიაც მსახურებენ თეთრ-ბილეთიანები და რომელთა ხელ ახალი გადასინჯვა ახლა არის დანიშნული, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინონ ასეთ პირების სია და წარუდგინონ მეფის ნაცვლის კანცელარიას, რომ გაწვევისაგან დროებით განთავისუფლებულ იქნან ეს პირები.

✦ მომხმარებელ საზოგ. „კოოპერაციის“ გამგეობამ დიდი ხნის ძებნის შემდეგ მონახა და დაიქირავა საუკეთესო მუშები. პურს აცხობენ საუკეთესოთ. პურის ყიდვა შეუძლიათ არა წევრებსაც.

✦ ხვალ ქუთაისის ქალთა საზოგადოების კომიტეტი გახსნის საჩაიეს „ძმა ძმისთვის—ამ დღისთვის“.

## დეპ. აკაკი ჩხენკელი გუბერნატორთან.

ამ დღეებში მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა დეპ. ა. ჩხენკელი. მას შემოუვლია ერთი ნაწილი თავის საარჩევნო რაიონისა, სახელდობ, შავი ზღვის პირით სოხუმის ოლქი, აფხაზეთი და გამოუვლია სამეგრელოშიც. გზადაგზა ხალხის დღევანდელ ცხოვრების ბევრნაირი გასაჭირი გაუცვნია და მრავალგვარი დავალება მოთხოვნილებებით გამოუსტუმრებიათ იგი ადგილობრივ მკვიდრთ. დეპუტატს ბევრი უმუსაიფნია დღევანდელ სახალხო საჭიროებათა შესახებ მცხოვრებლებთან და საზოგადო ხასიათის მოთხოვნილება—დავალებების შესრულებას და სათათბიროში ლაპარაკს და მოსაქმებას დაპირებია მათ.

ჩამოვიდა თუ არა ქუთაისში, დეპუტატმა უსაჭიროეს და სასწრაფო საკითხების გამო ინახულა გუბერნატორი. გუბერნატორმა დეპუტატი პატივისცემით მიიღო და დიდხანს ესაუბრა მას მის მიერ წამოყენებულ საკითხების გამო.

უპირველეს ყოვლისა გუბერნატორის ყურადღება დეპუტატმა ორ საჭირბოროტოთ გამხდარ საკითხზე მიაქცია: ამ სათადარიგო ჯარის-კაცთა გაყვანის გამო თავწაჩენ არა ნორმალურ მოვლენას და სასურსათო საკითხს იმერეთში.

დეპუტატი გასცნობია სამეგრელოში ძლიერ გაზშირებულ ცარცვა გლეჯის საქმეს და ამის გამომწვევ ღრმა მიზეზებზე ჰქონდა გუბერნატორთან მას საუბარი.

დეპუტატს განსაკუთრებით აღუნიშნავს ახლანდელი დეზერტირობა, რომელსაც გარდა იმისა, რომ თავისი ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიური მიზეზები აქვს ადგილობრივმა პირობებმაც შეუწყეს ხელი. თუ ამ სამწუხარო მოვლენის მოწესრიგებაში ხალხს ჩაურევთ და მისცემთ მას საშუალებას კანონიერი გზით, ლეგალურათ იგი ამაში ჩაერიოს, მე დარწმუნებული ვარ ეს სენი თუ ერთბაშად და სრულიად არ მოისპობა, ძალზე შესუსტდებაო —უთქვამს ბ-ნ ჩხენკელს. ბევრ გადამალულთაგანს რომ შიში არ ჰქონდეს სასტიკი ზომების მიღებისა (მაგ. როზგის და მისთ.) ახლავე დაუბრუნდება თავის კერას და თავის მოვალეობასაც აღარ გაექცევაო.

ამისათვისო, დაუძენია დეპუტატს. კარგი იქნება, რომ სოფლის ყრილობების საშუალებით თვით ხალხი ჩაერიოს სახალხო საქმეებში და იმათ ითათბირონ კანონიერების, წესიერების ფარგლებში და ისინი როგორც უფრო დაახლოვებულნი ამ მოვლენასთან, უკეთ გამონახვენ საშვალებებს მის მოსასპობათ.

გუბერნატორი დაეთანხმა რა დეპუტატის საფუძვლიან მოსაზრებებს, შეპირდა, რომ იგი ახლავე მისწერს მაზრის უფროსებს ნება დართოს ხალხს მოახდინონ დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებზე ყრილობები წესიერების ფარგლებში და გამოსთქვან თავიანთი აზრი ამა თუ იმ საკითხების გამო.

მეორე არა ნაკლებ საჭირბოროტო საკითხი, რომელსაც მიაქცია გუბერნატორის ყურადღება ახლად ჩამოსულმა დეპუტატმა იყო და არის სასურსათო საკითხი დეპუტატს საკმაოდ გაუცვნია, რომ სამეგრელოში წელს ძალიან კარგი მოსავალია სიმინდის. იგი ამ მხარეს გამოკვებს და გადარჩება კიდეც მეზობლებისათვისო. ამიტომ ეს კუთხე (სამეგრელო) დღეიდან აღარ ისაჭიროებს რუსეთიდან მთავრობის თუ კერძო პირების მიერ შემოტანილ მლაშე სიმინდს და ამისათვის ნუ აიძულებენ დღევანდელ პირობებში წელმოწყვეტილ გლეხებს, იყიდონ ეს სიმინდი და ან ვინც იყიდა იმას ნუღარ გადაახდევინებენ ნორმალურ ფასზე ზედმეტს მისი ზღვით თუ ხმელეთით შემოტანის მიხედვით.

გუბერნატორს დეპუტატის ეს მოსაზრებაც ჰკვაში დაუჯდა და შეპირდა თქვენ სამართლიან სურვილს დავაკმაყოფილებო და ვეცდები გლეხებს არ აიძულონ რუსეთიდან მოსული სიმინდის ყიდვაო.

კიდე ბევრ რაზედმე ქონია დეპუტატს ახლად გაცნობილ გუბერნატორთან სჯაბაასი და ბოლოს დაუძენია, რომ იგი ახლა თავის საარჩევნო რაიონის—ყარსის და ართვინის მხარის შემოსავლელათ და გასაცნობათ მიდის და დაბრუნდება თუ არა 10—15 დღის შემდეგ, ისევ ინახულებს მას (გუბერნატორს) საჭირო და სასწრაფო საქმეების გამო ზომების მისაღებათ.

გუშინწინ დეპუტატი საქარის სანერგეში წავიდა ამ სამეურნეო—სამეცნიერო დაწესებულების დასათვალიერებლათ; მეორე დღეს კი ძლიერ ნასიამოვნები ყოველივე ნახულ-გაგონილით საქარის სანერგეში,—გაემგზავრა თფილისში.. მან საქარის სანერგის ახლანდელ გამგეს და იქაურ მეღვინეობის შკოლის შეგირდებს, რომლებიც ქართული სიმღერებით, ცეკვათამაშით შეხვდენ და გამოაცილეს დეპუტატი,—დიდი მადლობა გადუხადა და ისურვა ასეთ მშვენიერ სანახაობის ხელმეორეთ ნახვა უფრო გულდადებით...

კედისძირელი.

## ქართული კაპიტალის ისტორიიდან.

(დასასრული იხ. „სამშ“ № 453.)

როგორც დავინახეთ სყიდვა გაყიდვა, ხელოსნობა და ვაჭრობა ქართველთ შორის წინა ხანებშიც იყო გავრცელებული მაგრამ XVII და XVIII საუკ.მას სრულიად სხვა ხასიათი მიეცა

აღწერილი სურათი თბილისის სიმდიდრისა, იმის მაჩვენებელია, რომ თითოეულ ხელობას, ხელოსანთა განსაზღვრული რაოდენობა ასრულებდა. [illegible] მხოლოდზეინკლობდა, [illegible] არც საჭიროებდა ვერც შეასრულებდა.

თავის ყოველ მხრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა იმით, რომ ის ამზადებდა საქონელს ბაზრისთვის, ჰყიდდა დაამით ინაზღაურებდა თავის შრომის ფასს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში შრომა განაწილებული იყო, ხოლო შრომის განაწილება ამქრული წესწყობილების დარსება, პირველდაწყებითი და აუცილებელი პირობაა კაპიტალის წარმოსაშობათ. როგორც ვიცით, უშუამავლო მოხმარებითი მეურნეობის ეპოქაში,—თანახმად მ. კოვალევსკის ტერმინოლოგიისა, მომხმარებელი და მწარმოებელი ერთს პიროვნებაშია მოქცეული. სულ სხვაა ალებ მიცემობის ხანაში; აქ მწარმოებელი საკუთარი ნაწარმოების უმნიშვნელო ნაწილს იტოვებს თითონ, დანარჩენი ბაზრად გააქვს.

ქალაქებიც არსებობდა წინად, მაგრამ ისინი იმ დროს ციხე-კოშკების მაგიერობას ეწეოდენ. დღეს იქვე მრეწველი კლასი გაბატონებულა და ფარ-ხმლის ნაცვლად სავაჭრო დაზგები გაუმართავსთ.

„კალმასობის“ ავტორისგან აღნიშნულ მომენტში კარგად ემჩნევა თუ რა ელფერი მიუღია თბილისის ეკონომიურ ცხოვრებას. მასში უკვე არსებითად შთასახულია კაპიტალისტური ელემენტები. ჩვენ ამას არ ვამბობთ თითქოს კაპიტალისტური წარმოება მთლი თავისი ატრიბუტებით შემოსულიყოს XVIII საუკუნის საქართველოში. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეკონომიური ცხოვრების ეს ახალი ფორმა თან და თან იმზადებდა ნიადაგს უმაღლესი კაპიტალის (ე. ი. მრეწველი კაპიტალის) დასაბანდავათ. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ქართული კაპიტალი კი, არსებითად ვაჭრული იყო, რაც როგორც ვთქვით პირველი და აუცილებელი საფეხურია მთლიანი კაპიტალის წარმოებისათვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ ამავე ხანებში ქართველებმა შეიგნეს თავის ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეც სამთა-მადნო წარმოებამ იჩინა თავი.

1770 წელს ერეკლე მეფემ რამოდენიმე დახელოვნებული ბერძენი გადმოიყვანა ანატოლიიდან. ქვა—მადნის დასამუშავებლად *).

ერთი სიტყვით, ქართული ნივთიერი კულტურა სავსებით შეეფერებოდა მიმდინარე დროის ეკონომიურ ცხოვრებას.

*) Крат. оч. разв. горн. дѣла на кавказѣ А. Карапетьяна. გვ. 16.

ცდოდა და ათასჯერ უფრო მეტად და ძლიერათ მიიზიდავდა ხალხს, ვინემ სიტყვიერი პროპაგანდა და თეორეტიული რწმუნება.

ეს ასეც მოხდა ხალხმა დაინახა თავისი მოამაგე, გაიგო, რომ ეს უბრალო ფულის მახეთ მოგონილი საქმე კი არ იყო, არამედ გულწრფელათ ხალხის საკეთილდღეოთ დაწყებული, მისი ინტერესების დასაცავათ შემოღებული, მისი კულტურულათ და ნივთიერათ ასამაღლებლათ შექმნილი.

1893 წელს რუსეთის სამიწათ მოქმედო სამინისტრომ ევროპიდან გამოიწერა მეცნიერები, რომელთაც ადგილობრივათ უნდა შეესწავლათ რუსეთის მევენახეობა და ერთხელ კიდევ ავტორიტეტიულათ ეთქვათ, რომ ფილოქსერის და საერთოთ ვენახის ავათმყოფობის წინაამდეგ საბრძოლათ საჭიროა ესა და ეს ზომებიო. რუსეთში ჩამოვიდა უნგრეთელი პროფესორი მარიონი*) და დოქტორი ორვატი რომელთაც შეუერთდენ პროფ. მელიქოვი და კოვალევსკი. ყველა ესენი, სხვა სპეციალისტებთან ერთად შეუდგენ ყირიმის, ბესარბის, ჩრდილო კავკასიის და ამიერ კავკასიის მევენახეობის შესწავლას როგორც ვიცით, ყველა ესენი თავიდანვე მომხრენი იყვნენ ვენახის ქიმიურათ წამლობისა და რუსეთში ყოფნისას ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავისი აზრი. სხვათა შორის მეცნიერთა კომისიამ ქუთაისის გუბერნიაც ინახულა. ეხლა აქ სტაროსელსკის უკვე მოწყობილი ქონდა საქარის სანერგე და მისი შრომა, თუმცა არც ისე დიდი და თვალსაჩინო იყო, მარა ყველა ხედავდა, რომ მომავლისთვის ის დიდ იმედებს იძლეოდა. მეცნიერთა კომისიამ სტაროსელსკის მუშაობა არ მოიწონა, აღიარა ის შემცდარათ და თავის მოხსენებაში იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ვენახის კულტურა ქუთაისის გუბერნიაში სრულიად უვარგისათ გამოაცხადა და ნაცვლად მევენახეობისა სხვა კულტურის მოვლა—მოშენების პროექტი შეადგინა.

სტაროსელსკი ხედავდა თუ როგორ ცდებოდენ მეცნიერები. ისინი მსჯელობდენ თეორეტიულათ, ზერელეთ, ერთი შეხედვით და დაკვირვებით სწყვეტდენ კითხვას, ხოლო თვით მას კი ოთხი ხუთი წლის პრაქტიკა წინ ქონდა ხედავდა როგორ ხარობდა მისი პატარა სანერგე და ნიადაგი შესანიშნავად ითვისებდა ამერიკულ ვაზს. ამისათვის, სტაროსელსკი მეცნიერთა ვიზიტის შემდეგაც თავის ძველ შეხედულებას შერჩა და მიწათმოქმედების სამინისტროს ვრცელი მოხსენება წარუდგინა, სადაც მეცნიერთა აზრის წინაამდეგ ამტკიცებდა ამერიკულ ვაზის დიდ სარგებლობას და თხოულობდა ამ საქმის გასაფართოებლათ თანხას. სატოსელსკი არასოდეს არ დაემყარებოდა მარტო სიტყვებს, ფრაზებს; ის მეცნიერთა წინაამდეგ მარტო ერთი პრაქტიკული შედეგებით არ იბრძოდა. ისიც გულდასმით სწავლობდა ვენახის ავადმყოფობას, სწავლობდა ნიადაგის შემადგენლობას, ცდიდა ამა თუ იმ ჯიშის ვაზს და სხვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სტაროსელსკი განსაკუთრებით ძლიერი იყო მიკროორგანიზმების გამოკვლევის საქმეში მას შესანიშნავათ ეხერხებოდა მიკრო-ფოტოგრაფიის ხმარება, მიკროსკოპით მუშაობა, მან მრავალი წერილებიც კი მოათავსა კავკასიის მცენარეულობის მიკროორგანიზმების შესახებ. მარა ყველაზე დიდი და სასარგებლო შრომა მან შეჰქმნა ფილოქსერის შესახებ, სადაც ამტკიცებდა ჩვენი ქვეყნისთვის ამერიკული ვაზის მოშენების აუცილებლობას. როგორც ვხედავთ, მეცნიერებმაც კი დაინახეს, რომ ვენახის მოსარჩენათ ამიერ კავკასიაში ქიმიური წამლობა გამოუსადეგარი შეიქნა და სამეურნეო კულტურის შეცვლა მოითხოვეს. ეს სტაროსელსკის საქმეს რამოდენიმეთ უადვილებდა დღეს მას აღარ სჭირდებოდა ქიმიურ წამლობის უვარგისობის დამტკიცება. მისთვის საჭირო იყო მხოლოდ გაემართლებია ამერიკული ვაზის სარგებლიანობა და ნაყოფიერება. ამ საქმეში კი მან მოლოდინს გადააჭარბა და ყველა ჩინოვნიკების და მეცნიერთა აზრის წინაამდეგ დაამტკიცა, რომ ქუთაისის გუბერნიაში ბრა თუ უნდა მოისპოს ვენახები პირიქით მეურნეობის ამ დარგის აყვავება შეიძლება. 1895 წელში მთელ გუბერნიაში ათამდე პუნქტი არსებობდა, სადაც ხალხს პრაქტიკულათ ასწავლიდენ ვენახის დამყნას მოვლა-მოშენებას. საქარის სანერგე კი უფრო გაფართოვდა. სტაროსელსკი მარტო ნერგების მოშენებით არ დაკმაყოფილდა და საქარაში მებაღე მუშების მოსამზადებელი შკოლა გახსნა, სადაც მრავალი მსმენელი მიდიოდა და სამეურნეო კულტურას სწავლობდა. მრავალი სოფლის გლეხი გაიწვრთნა აქ, მრავალმა მიიღო უტყუარი და სალი სამეურნეო ცოდნა და შემდეგ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში გაავრცელეს ის. ჯერ კიდევ ალბათ ბევრს ამათგანს ახსოვს ვლადიმერ სტაროსელსკი, რომელიც თავის იდეით, სამეურნეო ცოდნით გატაცებული მოხდენილ ლექციებს უკითხავდა მსმენელებს და მათ ისე აინტერესებდა როგორც პატარა ბავშვებს მგრძნობიარე და მოხდენილი ზღაპარი.

1895 წლებში საქარის სანერგე ინახულა მიწათმოქმედების მინისტრმა ერმალოვმა რომელმაც მოიწონა მისი ნამოქმედარი და ყოველმხრივ დახმარებას შეპირდა, ამ წლებიდან 1904 წლამდი ყველას თვალწინ იზრდებოდა და ფართოვდებოდა საქარის სანერგე, ათასი და ათი ათასი მეურნე მევენახე ღებულობდა ვაზის ნერგს, სწავლობდა მის მოვლა მოშენებას, მდიდრდებოდა ახალი, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით და ამგვარათ ქვეყანა იძენდა კულტურას, განვითარებას, რაც ხელს უწყობდა ეკონომიურ აღორძინებას და განახლებას

სტაროსელსკის იდეამ გაიმარჯვა, მან პრაქტიკულათ, მოქმედებით დაამარცხა თავისი აზრის მოწინაამდეგენი და როცა მის მიერ დაწყებული საქმე განვითარების უმაღლეს საფეხურამდი მივიდა, იგი შეუდგა მეორე, კიდევ უფრო დიდი და სასარგებლო საქმის გაკეთებას. სტაროსელსკი ხედავდა, რომ საქარის სანერგემ თავისი მიზანს მიაღწია, ხალხმა შეისწავლა მეურნეობა, შეისწავლა ვაზის დამყნა, მოვლა-მოშენება. დღეს გლეხი თვით აწყობს სანერგეს, მას აღარ სჭირდება მასწავლებელი, ამავე დროს საქარის შკოლამ მრავალი მეურნე-მებაღე მუშები მოამზადა, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში გაიბნენ და თვით ჩაუდგენ ვენახების მოშენებას სათავეში. ეხლა საჭირო იყო უფრო დიდი საქმის გაკეთება, საჭირო იყო მეტი ცოდნის, სამეურნეო კულტურის სხვა დარიგის გავრცელებაც და ბუნებით მდიდარ კოლხიდის მართლა ედემათ გადაქცევა, გამშვენიერება. არავინ იფიქროს, თითქო სტაროსელსკი ამას ფიქრობდა განყენებულათ, თითქო მას მხოლოდ ეს იდეა აინტერესებდა. არამედ, როგორც ვსთქვით ის უკავშირებდა და ყოველ ახალ საქმეს ხალხის ნივთიერ და კულტურულ მდგომარეობას, ცდილობდა ყველა ამით ხალხის ეკონომიურ აღორძინებისთვის ხელი შეეწყო და ერთ გაყინული წერტილიდან დაეძრა მასის თვითმოქმედება. და აი, როცა 1904 წელში საქარა მეორეხელ ინახულა ერმალოვმა, სტაროსელსკიმ მას წარუდგინა ვრცელი მოხსენება საქარის სანერგის საშვალო სამეურნეო სასწავლებელათ გადაკეთების შესახებ. ამ მოხსენებაში ვრცლათ აწერილია ჩვენი ხალხის ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა, როგორც ნიმუში მოყვანილია შორაპნის მაზრის ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც თვით მოახდინა სტაროსელსკიმ. გარდა ამისა აქ განსაცვიფრებელი სიმახვილით და მჭერმეტყველობით დახატულია ქუთაისის გუბერნიის მომავალი თუ კი სამეურნეო ცხოვრება თავის პირდაპირი გზით წავიდა და მის განვითარებას ხელი

*) აღსანიშნავია, რომ პროფესორი მარიონი მარსელის ერთ-ერთ ქიმიურ ქარხნის აქციონერათ ითვლებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა ავღნიშ-ნოთ ის, რომ საქართველოში სათავარის მებრძოლეობით იკრებდა ძალას საზოგადოების ის რევოლიუციონური ელემენტი, რომელსაც უნდა დაემხო დრო გადასული ბატონ ყმობა. ეს ყველგან ასე მოხდა იმ დროს, და ჩვენშიც იგივე მოხდებოდა ყოველ ეჭვს გარეშე. მესამე წოდება უკვე დიდ-კანში გამოვიდა. მისი სტილი, მისი მსოფლ-მხედველობა, მისი უფლებრივი ზრახვანი და ანგარიშიანობა ძირიან-ფესვიანად ეწინაღმდეგებოდა ფეოდალურ საზოგადოებას. და მალე სულ მალე უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილება ჩვენი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში... მაგრამ... მაგრამ ამ დროს თვით სახელმწიფოს მზე ჩრდილოეთით ჩაესვენა.

არჩ. ჯორჯაძეს სწორედ ეს გარემოება აფიქრებდა, როდესაც სთქვა: საქართველოს სახელმწიფოებრივობა, რომ დაცულყოფილიყო, ეროვნულ ფარგალში მოთავსებული ჯგუფი ნორმალურად განვითარდებოდა. ფეოდალური წეს-წყობილების ლიკვიდაცია უფრო ადრე მოხთებოდა, ბატონყმობიდან განთავისუფლება ნამდვილი და არა თვალთ-მაქცი იქნებოდა“.ო*) მაგრამ ყოველივე ეს არ მოხდა იმიტომ, რომ უცხო ძალა ჩაერია ჩვენი ისტორიის ბუნებრივ მსვლელობაში. ორგანიულად ერთი-მეორეს გადაჯაჭული მოვლენანი, რომელსაც ივერიის სახელმწიფოებრივი ნების-ყოფა აწესრიგებდა თანახმად საკუთარი ინტერესებისა,—მერმენდელ საქართველოსათვის საბედისწერო გახდა.

გარემოებათა მიმდინარეობა ლეონიძეების სეფე სიტყვას არ ემორჩილებოდა, რადგან თვით ლეონიძეები ტრაპეზუნისაკენ ილტოდენ. ნივთიერი თუ სულიერი კულტურის სფეროში ყოველგვარი ცვლილება უჩვენოდ ხდებოდა.

ვინ იცის რამ: ისტორიულმა აუცილებლობამ, ბრმა შემთხვევამ თუ „ბებერი არ წივის“ პოლიტიკურმა „სიბეცემ“,—რამოდენიმე საუკუნით უკან დაგვწია. გაუქმდა ერის შემოქმედი ძლიერება. აღარსად იყო უზენაესი გამგე კერძო—პიროვნული მიდრეკილებათა, ზოგად ეროვნულის საკეთილდღეოთ. გარეწარ-მშვიდობის მაძიებლთ გადაეცა ლეონიძეების პორთფელი.

ბუნებრივი სიმდიდრე განუსაზღვრელი იყო ჩვენეში,—რაზედაც მუსინ პუშკინი მოხსენებას უკეთებდა სამინისტროს—ეკონომიური აზროვნებაც საღი და ცხოველმყოფელი ჰქონდა ქართველ კაცს, მაგრამ ყოველივე ეს იქნება ვინმეს და რამეს ხმარდებოდა, მაგრამ ქართველ ერს კი არაფერში გამოსდგომია სახელმწიფოებრივი სიკვდილის შემდეგ. მხოლოდ დღეს იწყება აღორძინების ხანა!.. და არაჩვეულებრივი შემძლეობაა საჭირო, რომ კალაპოტიდან ამოვარდნილ ეროვნულ ცხოვრებას თავისი ალაგი მოენახოს!

ვენე.

*) არჩ. ჯორჯაძე. წიგნი 1. გვ. 134.

## ქართველი ახალგაზდობა. —

ჩვენ ყველანი დიდ იმედებს ვამყარებთ ქართველ ახალგაზდობაზე; მათგან მოველით ჩვენი ქვეყნის ხსნას და აყვავებას, ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მომავალი ახალ გაზდობას ეკუთვნის. როგორც სინამდვილემ დაგვარწმუნა, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არ ამართლებს ჩვენს იმედებს. სამშობლოს ჭეშმარიტი მოყვარული ადამიანი მარტო იმაზე არ ცდილობს, ცდილობს, რომ ის პირადად გამოადგეს თავის სამშობლოს; იგი იმის ცდაშიდაც არის, რომ რიგიანი წევრები აღუზარდოს მას. ჩვენი ახალგაზდობის არა მცირედი ნაწილი სამშობლოსათვის მომავალი სასარგებლო წევრების აღზრდაზე სრულიად თუ არა, ძრიელ ნაკლებად ზრუნავენ მაინც. მოდით და მიბრძანეთ, ნუ თუ საქართველოს კეთილ დღეობისათვის და მისი მომავალი წევრების აღზრდისათვის ზრუნავს ის ქართველი ახალგაზდა, რომელიც უმაღლესი სწავლა-განათლების მიღების შემდეგ უცხო ქალზე იწერს ჯვარს და ისე უბრუნდება მშობლებს შინ? დიდებული მგოსანი ნაღვლიანად მოსთქვამს: „ქართველის დედაო, ძუძუ ქართლისა, უწინ მამულსა უზრდიდი შვილსა; დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა“. თუ ასეთ გმირებს დღეს ნამდვილი ქართველი ქალებიც ვეღარ გვიზრდიან, ნუ თუ მათ გაზრდას უცხო ტომიდან ამორჩეული დედები შესძლებენ?! ამის წარმოდგენა ფიქრადაც კი არ შეიძლება, ამისათვის დიდ დანაშაულობას ჩადიან ის ახალგაზდა ქართველები, მამულისა და მშობლების წინაშე, რომლებიც სხვა ქვეყნებიდგან მარტო კი აღარ უბრუნდებიან სამშობლო კერას, არამედ ცოლებადაც მოჰყავთ უცხოელი ქალები. კარგი იქნება ჩვენი ახალგაზდები სერიოზულად ჩაუფიქრდებოდნენ ამ გარემოებას.

მ. ბუაჩიძე.

## თეატრი და ხელოვნება.

### ქართული თეატრი.

ორ ოქტომბრის წარმოდგენა შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯე“ და 5 ოქტომბრის „მედეა“ საუკეთესო წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს სეზონის დაწყებიდან, ორივე პიესას კარგათ იცნობს ქუთ. საზოგადოება და მათი შინაარსის გაცნობა საჭიროც არ არის.

პიესა „სიმახინჯე“ რამდენჯერმე გვინახავს და კარგათაც შესრულდა ჩვენმა დასმა. რა სიამოვნებასა გრძნობს ადამიანი, როდესაც ზიხარ და უნაკლულოდ კარგად შესრულებული ისმენ პიესას. ვიმეორებ ბევრჯერ გვინახავს ეს პიესები, მაგრამ ესე მწყობრათ, ესეთი ანსამბლით დადგმული არ გვინახავს, განსაკუთრებით პიესა „მედეა“ ნ. ჩხეიძის ასულმა გადააჭარბა თავის ნიჭს და ისე შეასრულა მედეას როლი, რომ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ყოველი მისი მოძრაობა, გამოთქმა, ჟრუანტელს გვრიდა, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, მეფის ქალთან სცენა და იაზონის შეხვედრა. მესამე მოქმედებაში მეფესთან სცენა შეუდარებელი იყო.

დანარჩენმა მსახიობებმა, თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებიანო, მწყობრად ჩაატარეს თავიანთი როლები.

რამდენად საზოგადოება სიამოვნებასა გრძნობდა, იმდენად თავხედურათ და უზრდელათ იქცეოდა მოსწავლე ახალგაზდობა თავისი რაიც უზრდელი ყვირილით და ჟღავილით, პირდაპირ ზიზღს იწვევდა. არც გამგეობის მორიგმა წევრმა, არც სასწავლებლიდამ დანიშნულმა მორიგმა აღმზრდელმა არ იღონეს, რომ წესიერება ყოფილიყო დაცული (ღმერთო შეგცოდე და მორიგი აღმზრდელები ძალიან ნაკლებათ დაიარებიან თეატრში) ზოგი გაჰყვირის „ბრავო ვანიჩკა“ „ძირს ნიკო“ მადლიც ვანო“ და სხვა. ნუ თუ მოსწავლე ახალგაზდობას ვერ შეუგნია ის, რომ თეატრი იგივე სკოლაა და მას პატივისცემით უნდა მოპყრობა და სხვებს მაგალითი უნდა უჩვენონ?!

ამას კიდევ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ზოგიერთებს თავისი აღტაცება უნდათ იმით გამოხატონ რომ სცენაზე კომშების, ვაშლების სროლით თავი დაუხეთქონ მსახიობებს. მაგალითად, ვიღამაც კომში ისროლა სცენაზე და კინაღამ ნ. ჩხეიძის ასულს თავში მოხვდა, სირცხვილი რომ მსახიობმა ქალმა თვალებით და ხელებით უჩვენა სცენიდამ, რომ ეს უზრდელობაა და არა პატივის ცემაო.

ჩვენის აზრით უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ამას გამგეობამ და მორიგი წევრი ქანდარაზედაც უნდა იმყოფებოდეს, რომ მას ნება ჰქონდეს უწესობის ჩამდენი თეატრიდამ გაიდევნოს. როგორც ფარდა აიწევა თუ არა, ქანდარას კარები უნდა დაიხუროს, რომ არავინ შემოვიდეს თორემ მოქმედების დროს მოუნდებათ ხოლმე შემოსვლა და ლაპარაკის გამართვა.

ორივე წარმოდგენას საზოგადოება დიდძალი დაესწრო. ზოგი უბილეთობის გამო გაბრუნდა კიდეც.

გენტი.

## პროვინციის ცხოვრება.

სოფელში ... იჩინეს თავი პარაზიტებმა. შემდგარია ბრბო რომელიც საფრთხეში აგდებს და დიდს იძულებას აყენებს ისედაც ქალის ამარა მიტოვებულ დატაკ ოჯახებს. ეს ვაჟბატონები ვალდებულად ხდიან თითეულ ოჯახს რომ რამოდენიმე დღეობით შეინახონ ისინი. ამით კიდევ არ კმაყოფილდებიან და უპატრონო ოჯახებში მრავალ ბოროტებას სჩადიან. მცხოვრებლები ხმას მეღარ იღებენ. ისინი გრძნობენ რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია მათ დასაცველათ უღონობას იჩენს. ეს ვაჟბატონები ამით სარგებლობენ მცხოვრებს კრინტის დაძვრაც არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიკვდილი მოელის. ასეთი უღონობა, როგორც მთავრობისაგან ეგრეთ მცხოვრებლებისაგან ამხნევებით და გაბედულებას ჰმატებს ამ პარაზიტებს, რომელთაც თარეშს საზღვარი არა აქვს.

გრ. გრ. ჭ—შვილი.

## უცხოეთი.

ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ ნორვეგიის მთავრობას ოფიციალურად გაუზრთხილებია მეომარი სახელმწიფოები: ჩვენ ნაპირებთან შემჩნეულ ყოველ შეიარაღებულ წყალქვეშას წინააღმდეგ სამხედრო ძალას მოვიხმართო. მთავრობის ამ ზომას ნორვეგიის ბეჭვდით სიტყვის ორგანოებში თანაგრძობით მოეპყრნენ.

---

ისპანიის პირველ მინისტრს მელკიდეც ალვარეცს მოკავშირეთა წარმომადგენლებისათვის განუცხადებია: პარლამენტში მალე კამპანიას დავიწყებთ მოკავშირეთა სასარგებლოდაო. ეს სიტყვები ისე გაუგიათ, ვითომც ისპანიაში მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩარევა გადაეწყვიტათ.

---

„ბერლინერ ტაგებლატმა“ ეხლა ხან გამოამჟღავნა ერთი წერილი, რომელსაც ფრანგ სოციალისტების ომის დასაწყისშივე მოკლულ ჟორესს აწერს გაზეთი ამ წერილიდან სჩანს, რომ ომი ფრანგებს დაუწყიათ, მათი ბრალი ყოფილა ვითომ მსოფლიო ომის გამოწვევა. გაზეთის სიტყვით საფრანგეთის მთავრობა ნახევარ მილიონ ფრანკს დაჰპირებია ჟორეს ხსენებულ ამბის დასაფარავად და მის წერილს ძალით ჩამორთმევასაც უპირებდნენ. ფრანგული ჰუმანიტე კატეგორიულდა უარყოფს ამ ამბავს და თვით წერილს კი ყალბად სთვლის.

მოკლულ ჟორესის ყველა ქაღალდები მის ქვრივს აქვს შენახულიო, ამბობს გაზეთი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



ეროვნული ბიბლიოთეკა

### რკინის-გზის მიმოსვლა:

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | -- 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# სუსუნატი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გონოზანით“** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია:** თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შემხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავორის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჰაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ყურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

---

შეუწყო. ერმოლოვმა პროექტი მოიწონა და სამინისტროში შეიტანა. აღსანიშნავია, რომ მიწათმოქმედების სამინისტრო სტაროსელსკის აზრს ამ ხანებში დიდ ანგარიშს უწევდა. მარა ამ დროს მოუსწრო რუსეთ იაპონიის ომმა, მას მოყვა 1905 წელი და სტაროსელსკის პროექტი სამუდამოთ დასამარდა.

ამით დასრულდა ამ შესანიშნავ ადამიანის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დარგში მოღვაწეობა, რომელმაც თამამათ შეიძლება ითქვას, რომ პირველმა აჩვენა და ამცნო მცხოვრებთ, რომ ისინი ცხოვრობდენ ბაღში, ედემში, მარა თვით კი ამას ვერ ხედავდენ და უპატრონოთ ქონდათ მიტოვებული ის საუნჯე, რომელიც დაუფასებელი სიმდიდრეა ყველა ერისათვის და ქვეყნისათვის.

1905 წლის ივნისში სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორათ დანიშნეს. ამ წლის იანვარში ის თავის საქმეებზე პეტროგრადში იმყოფებოდა, სადაც სულთან კრიმ გირეიმ გააცნო მაშინ პეტერბურგში მყოფ ვორონცოვ-დაშკოვს. რამოდენიმე თვის შემდეგ ვორონცოვ დაშკოვი კავკასიაში მეფის მოადგილეთ დაინიშნა, რომელმაც სტაროსელსკი გუბერნატორათ მიიწვია. 1906 წელს ის დაითხოვეს, ხოლო 1907 წელში საზღვარგარეთ გავიდა და სიკვდილამდი პარიზში ე. წ. „გარიბალდის ბულვარის“ უბანში ცხოვრობდა. პირველ ხანებში მან ჟურნალისტობას მოკიდა ხელი, მარა კალამი მალე გააგდო ხელიდან და ფოტოგრაფობა დაიწყო ამ ხელობას ის ჯერ კიდევ აგრონომობის დროს იცნობდა, რადგანაც მუდმივათ უხდებოდა მოქმედება მიკროფოტოგრაფიით. პარიზში მან დაიწყო შრომა ქუთაისის გუბერნიის ეკონომიურ მდგომარეობის და მოძრაობის ისტორიის შესახებ, მარა ორივე დაუსრულებელი დარჩა..

თუ რამდენათ გულწრფელი მუშაკი და პრაქტიკულათ მომქმედი ადამიანი იყო სტაროსელსკი, ამას ამტკიცებს ერთი წერილი მისი ძმისადმი, იური სტაროსელსკისადმი პარიზიდან თფილისში მოწერილი. სტაროსელსკი სწერს: „მე ვიმყოფები პარიზში, კაცობრიობის კულტურის და საფრანგეთის მოწინავე აზრების აკვანში. აქ თავი მოუყრია საუკეთესო ხალხს ჩვენი ქვეყნიდანაც ბევრია მოსული, ჩვენი თანამემამულენიც ცხოვრობენ აქ, მარა მე მაინც საშინელ მოწყენას განვიცდი, მიუხედავათ იმისა, რომ ვცხოვრობ მოწინავე საზოგადოებაში. საქმე იმაშია რომ ეს ხალხი ცხოვრობს წარსულით, მოგონებებით და მე კი მიძძმს მარტო ფიქრი, მარტო მოგონებანი, მე მინდა ეხლა მოქმედება, მე მინდა ძველებურათ შრომა, მარა სამოქმედო ასპარეზი არ მაქვს, არ შემიძლია ძველებურათ დავეკვე პრაქტიკული შრომითო“.

ეს სიტყვები ნათლათ გვიჩვენებენ თუ ვინ იყო სტაროსელსკი. ჩვენ მოკლეთ ალვიშნეთ ამ შესანიშნავ პიროვნების ღვაწლი, მარა ერთ წერილში შეუძლებელია ყველა იმის დაფასება, რაც მან შექმნა ჩვენი ხალხის ეკონომიურ აღორძინებისათვის. იმ ეპოქას, რომელსაც სამართლიანათ დაერქმევა „ჩვენი მეურნეობის აღორძინების დასაწყისი“ შარავანდედით მოსავს ვლადიმერ სტაროსელსკის მოღვაწეობა, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი მეურნე მევენახე გლეხკაცობა.

„სახალხო გაზეთი“